საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 75

10 06 2016 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სარჩევნო პლაკატების გაკვრისა და გამოფენის ადგილების და არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისათვის წინასაარჩევნო შეხვედრებისათვის შენობების გამოყოფის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 10 ივნისის სხდომის N10 ოქმის პირველი საკითხის შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 9 ივნისის N01-02/1176 და მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 10 ივნისის N03/3751 წერილების გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-სა და ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი"-ს 46-ე მუხლის საფუძველზე

1. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, საარჩევნო პლაკატების გაკვრისა და გამოფენისათვის, მარნეულის მუნიციპალიტეტში გამოიყოს ნებადართული ადგილები თანახმად დანართი N1-ისა (თან ერთვის).

2. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისათვის, წინასაარჩევნო შეხვედრებისათვის, გამოიყოს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ყველა კულტურის სახლის შენობა-ნაგებობა და სპორტული მოედანი.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი

დანართი N1

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნებადართული ადგილები, სადაც შესაძლებელი იქნება საარჩევნო პლაკატების გაკვრა და გამოფენა:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარეგანათების ელექტრო ბოძები;
2. საცხოვრებელი ბინების (კორპუსების) ფასადები;
3. კერძო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების ფასადები (მათ შორის საცხოვრებელი, მესაკუთრესთან შეთანხმებით);
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ღობეები, გარდა ქალაქ მარნეულში კულტურის სახლის მიმდებარედ არსებული ღობისა.